№ 944 ოთხშაბათი, 20 ოქტომბერი. 1896—1899 ოთხშაბათი, 20 ოქტომბერი № 944

სადგომი და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურთ ქარვასლა.

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვე-თად მიმართავენ რედაქციას დილის 10—8 საათამდე და საღამოს 6—დან „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზია

ხელ-მოუწერავ წერილებს რე დაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქ ტორთან შეიძლება ყოველ დღე.

ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მანეთი
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул.
д. Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 2 მან.

---

ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 21 ოქტომბერს,
დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან
წარმოდგენილი იქნება: ახალი პიესა
ქ-ნ გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით

## ფული და ხარისხი

კომედ. 3 მოქ. თხზ. ქალბ. აზიანისა.
პირველი დებიუტი ანასტ. აბაშიძისა და ქალბ. აფხაზიშვილისა.

II

## მეფე და პოეტი

ისტორიული სურათი 1 მოქ. თხზ. ბინვილისა, თარგ. ი. მყონიასი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8 საათზე.
რეჟისორნი: ვ. აბაშიძე და ქ. მესხი.

---

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" გამგეობა აც ხადებს, რომ დაცლილია

## კაპკაპის

სკოლის მესამე მასწავლებლის ადგილი და მასწავლებლობის მსურველმა თხოვნით უნდა მიმართოს გამგეობას. მასწავლებელს ჯამაგირი ექმნება 480 მანეთი მხოლოდ იმ პირობით, რომ უსათუოდ გალობა იცოდეს და დასის შედგენა შეეძლოს (5—3)

---

## ქართული წერის რვეულები

(ახალი გამოცემა)

„დედა-ენასთან" სახმარებელი, დაიბეჭდა ახლად საუკეთესო ქაღალდზე და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ფასი ოთხი კაპეიკი. ვინც ნაღდს ფულზე იყიდის ასობით, იმას თითო რვეული მიეცემა 3³/₄ კაპეიკად; ხოლო ვინც ხუთასობით იყიდის, თითო რვეული დაუთმობა სამ კაპეიკ ნახევრად 3¹/₂ კაპ. (6—6)

---

ძმ. თავართქილაძეების წიგნის მაღაზიებში არის დანიშნული 20 აგვისტოდან, 20 სექტემბრამდის

## იაფი ვაჭრობა

იაფად იყიდება ყოველივე სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნები, რვეულები და განსაკუთრებით ქართული საკუთარი გამოცემანი. ძმათა თავართქილაძეების სტამბაში იყიდება ერთი ნახმარი სტამბის დაზგა (Станокъ) 100 მანეთი.
იქვე ისყიდება 24 ცინკის „კლიშე" „მეფხის ტყაოსანის" სურათებისა, სათაურით, სულ 50 მანეთი. (20—18)

---

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. გ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ხირურგიის, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი, არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. გ. თოფურია. საქირურგო თვალებ-ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი. საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟის თვისი.
სამკურნალოს დირექტორი ს. გ. თოფურია
Лѣчебница С. Г. Топурія въ Кутаисѣ

---

# ახალი ამბავი

*** წირვა. აწ გარდაცვალებულ იმპერატორის ალექსანდრე III ისა გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი დღეს 20 ოქტომბერს სიონის ტაძარში. პანაშვიდს და წირვას გადაიხდის საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე სამღვდელოების თანადასწრებით.

*** კავკასიის მთავარ-მართებელი გ. ს. გოლიცინი გუშინ-წინ დაბრუნდა განჯის გუბერნიიდან ტფილისში.

*** თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანბატონი დაბრუნდა ტფილისში და შეუდგა თავისის თანამდებობის აღსრულებას.

*** შუამდგომლობა. პეტრე-პავლეს ეკკლესიის სამრევლო სკოლის მზრუნველს შუამდგომლობა აღუძრავს ქართლ-კახეთის სამეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს წინაშე იმის შესახებ, რომ სკოლასთან დაარსებულ იქმნას საკვირაო სკოლა, როგორც რუსების ისე ქართველ ქალ-ვაჟებისათვის.

*** გაზ. „ნოვოსტის" სიტყვით: პეტერბურგში ყარსიდან მისულა ვილაც მ. ხუციშვილი, 8 წლისა, რომელიც საუცხოვოდ თურმე უკრავს ვიოლონჩელს.

*** ცეცხლის გაჩენა. 18 ამ თვეს, ნაშუადღევის 3 საათზე მიხეილის ქუჩაზე, მარკევიჩის შენობას გაუჩნდა ცეცხლი. ცეცხლი გაჩნდა ყავრიდან და შემდეგ მოედო მთელს შენობას. ამ შენობას ბევრი დუქნები და მაღაზიები აქვს, რომლებიდანაც ეცადნენ ავეჯეულობის გამოზიდვას. მალე გაჩნდნენ ცეცხლის გამქრობნი ბ-ნი პოლიცმეისტერის კოვალიოვის მოთავეობით. ამ ცეცხლმა დიდი თავ-ზარი დასცა იქ მყოფთ და მეზობლებს. იქ მყოფმა ბ. ქრისტოვსკიმ დაინახა რომ ბავშვი იწვის, შევარდა და გამოიტაცა ოთახიდან, რითაც გადაარჩინა სიკვდილისაგან. ცეცხლი გააქრეს მხოლოდ საღამოზე. ძალიან ბევრი ავეჯობაა დამწვარი და მოტაცებული ამ შენობას საღამოსთვის ყარაული მოუყენეს. ზარალი ძალიან დიდია, ცხრა მაღაზია მთლად დაიწვა. ეს შენობა დაზღვეულია 22,000 მ. ამ ცეცხლის დროს დაესწრნენ ბ-ნი გუბერნატორი და ვიცე-გუბერნატორი.

*** კავკასიის რკინის გზის მატარებლებზე. 15 ამ თვიდან შეიცვალა რკინის გზაზე მგზავრთა მატარებლების მიმოსვლა ისევ თავის ვადაზე დადიან მატარებლები მხოლოდ №№ 1, 2, 3 და 4, ე. ი. ის მატარებლები, რომლებიც დადიან ბაქოსა და ბათუმს შუა. გორის მატარებელი, რომელიც გადიოდა ტფილისიდან 10 საათზე და 20 წამზე, სრულებით გაუქმდა. გაუქმდნენ აგრეთვე მცხეთის მატარებელი, ის მატარებელი, რომელიც გადიოდა ტფილისიდან 2 საათ. და 40 წ., ეხლა გადის ტფილისიდან 3 ს. და 25 წ. და მიდის ისევ ბორჯომამდისინ. მხოლოდ ეს მატარებელი ბრუნდებოდა ტფილისში დილის 8 საათზე, ეხლა კი ბრუნდება 12 საათ. 55 წ.

ნაშუადღევისას. ეხლა სუყველა მატარებლები სუყველა სადგურებზე ჩერდებიან და მგზავრი სუყველა სადგურებიდან მიჰყავს.

*** **დასახლებულები ციმბირში.** როგორც რუსეთის გაზეთში ვკითხულობთ, ციმბირში დაუსახლებიათ წლევანდელის ზაფხულის განმავლობაში 200,000 ადამიანი, ამ პირთ სახელმწიფო შეეწია 4,000 მანეთი.

*** განათლების მინისტრის განკარგულებით ამ ცოტა ხანში ციმბირში უნდა დაარსდეს 50 სასწავლებელი, რისთვისაც გადადებულია 100,000 მანეთი, ეს სასწავლებლები უნდა აშენებულ იყვეს მომავალ წლისთვის 1-ს მარტისათვის.

*** **ტფილისის საბჭო.** ხსენებულს საბჭოს კრებაზედ 20-ს ამ თვეს გარდა ელექტრონის შესახებ განხილულ იქმნება შემდეგი საგნები: საბჭოს თავმჯდომარის არჩევანები გამგეობის 1894 და 1895 წლების ანგარიშის განსახილველად; გამგეობის მოხსენება ცხენის რკინის გზის წარმოების კონცესიის გაცემის შესახებ; დამფასებელ კომისიის და უძრავ ქონების დამფასებელთა მოქმედების წეს რიგის პროექტი; ქალაქის დამფასებელთა თხოვნა დაფასებისათვის დაჯილდოების ძველის წესრიგის აღდგენის შესახებ. გამგეობის დარაჯად ნამყოფის ქვრივის ჩიქოვანის თხოვნა შემწეობის შესახებ; ქალაქის გამგეობის დადგენილება ძაღლებზე გადასახადის დაწესების შესახებ; ქალაქის გამგეობის მოხსენება ქალაქის ელექტრონით განათების შესახებ; ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა საპენსიო კასის დაარსების პროექტები

*** **ტფილისის ოლქის სასამართლოს** თავმჯდომარე მ. მ. შარიგინი 17 ამ თვეს გაემგზავრა სამსახურის გამო დაბა ცხინვალში.

*** **ტელეფონი ბერლინისა და ვარშავას შუა.** ქ. ბერლინი და ვარშავა უნდა ამ ცოტას ხანში შეერთებულ იყვნენ ტელეფონით.

*** **კახეთის რკინის გზა.** გზათა სამინისტრომ მიანდო გზათა ინჟინერს ტიმაშევიჩს თვალყური ადევნოს კახეთის რკინის გზის მიმართულების გამოკვლევას.

*** **არჩევნები მნათისა.** კვირას 17 ოქტომბერს, ანჩისხატის ტაძარში შეკრებილმა მრევლმა ამ ტაძრის მნათედ აირჩია ერთხმად იოსებ ლუარსაბის ძე ბალიევი.

*** **თელავი.** შარშან „ივერიაში" თელავიდან ერთი კორესპონდენტი სწერდა, რომ თელავის ტაძრის წინამძღვრად გადმოყვანილ იქმნა ს. კურდღელაურიდან ბლაღოჩინ-მღვდელი მამა მიხეილ ხელაევი, რომელიც აღყვანილ იქმნა დეკანოზობის ხარისხზე. ბ. კორესპონდენტი აიმედებდა პატივცემულ მკითხველებს, რომ ეს ახალი წინამძღვარი იმედია ბევრს სასარგებლო საქმეს დასთესავს მრევლში. სწორედ კიდეც განხორციელდა ყოველივე მოლოდინი პატივცემულის დეკანოზის მ. მიხეილ ხელაევისაგან. მისდამი რწმუნებულს ტაძართან წინად არსებობდა სამრევლო სკოლა, რომელიც მოთავსებული იყო ტაძრის ეზოში საყარაულო ოთახში, რომელშიაც 20 მოწაფე ძლივს თავსდებოდნენ და ასწავლიდათ მთავარი იმავე ტაძრისა მერე მ. ხელაევის გამწესებისა აქ წინამძღვრად, სულ გაუმჯობესდა ამ სკოლის საქმე.

მისის შუამდგომლობით ეპარქიალურმა სამოსწავლო საბჭომ ხაზინიდან გადასდო 300 მ. ჯამაგირი საკუთარის მასწავლებლისათვის და იმავე საბჭომ ტფ. ფერისცვალების მონ. სამრ. სკოლის მასწავლებელი ბ. ონ. ჰიქაძე გადმოიყვანა ამ ახალს ადგილზე მასწავლებლად 16 თებერვლიდან ამ 1899 წ., მ. დეკანოზმა დაიქირავა ამ სკოლისათვის მშვენიერს ადგილს სამაგალითოდ სინათლიანი ბ. ზ. ჩხიკვაძის სახლი (ზემო სართულია), სადაც მოთავსებულია მასწავლებლისთვისაც ოთახები.

ვაჟები და ქალები სულ 60 იქმნენ მიღებულნი, მსურველნი კი ბევრნი იყვნენ. სასწავლებელში სწავლა დაიწყო 15 მარტს. ბ. ჰიქაძე მოვიდა თუ არა თელავში, გამართა ქართული ხორო თელავის სამოქალაქო სკოლის მოწაფეთაგან და აგალობებდა ტაძრის ეკკლესიაში აღდგომამდის; მერე კი რაკი თავის მოწაფეებიც მოამზადა სულ მუდამ იმათ აგალობებს.

სკოლის ერთს თავისუფალ ოთახში აბრეშუმის ჭიაც მოიყვანეს, რომელსაც მასწავლებლის დახმარებით მოსწავლე ქალები და ვაჟები უვლიდნენ და კარგი ჭიებიც ჰქონდათ. მაისის 22 მოწაფეები გაასეირნეს შუამთის მონასტერში, სადაც წირვაზე იგალობეს ხსენებულ სკოლის მგალობლებმა. ამ სამოსწავლო წელს დაინახა რა მ. დეკანოზმა, რომ ეს სკოლა ვერ აკმაყოფილებს მსურველთა, იშუამდგომლა მთავრობასთან და ნება დართეს გაეხსნა ქალთა განყოფილება ცალკე, რომლის მასწავლებლადაც დანიშნულია თელ. წმ. ნინოს სასწავლებელში კურს დამთავრებული ქ-ნ ალექსანდრა კანკოვის ქალი, რომელსაც სამასწავლებლო მოწმობაც აქვს. საბჭომ ამ სკოლის შესანახად გადასდო 200 მ. წელიწადში. ამ განყოფილებისათვის ცალკე საკუთრად მოხერხებული სახლი იქმნა დაქირავებული, რომელშიაც 66 ქალი სწავლობს. ვაჟებიც ამდენი არიან, რომელნიც ცალკე ზემოდ ხსენებულს ბ. ზ. ჩხიკვაძის სახლებში სწავლობენ. სულ 132 მოწაფეა, ამათში თითქმის ნახევარი სომეხია, ქალები ხელსაქმესა სწავლობენ. სწავლის ფასი 4 მ. სამოსწავლო წელიწადში. ღარიბები და ობლები კი განთავისუფლებულნი არიან ამ ხარჯისაგან და სასწავლო ნივთებიც მუქთად ეძლევათ სკოლიდან. სასიამოვნო სანახავია, როდესაც ტაძრის ეკკლესიაში ვხედავთ 100 მეტი ბავშვი მოწიწებით სდგანან რიგზე და ამავე დღეს ამათი ამხანაგები მგალობლები კლიროსზე მშვენივრად ჰგალობენ. ეს ყველა მ. დეკანოზის მეოხებითაა და მასწავლებელთა მეცადინეობით. როგორც ბ. ჰიქაძისაგან გავიგეთ, მ. დეკანოზ ხელაევს დაუწყია შუამდგომლობა მთავრობასთან, რათა ნება დართონ გახსნას საკვირაო სკოლა ხსენებულ სკოლასთან და იმედია ჩქარა მიუვათ ნებართვა. აგრეთვე მ. დეკანოზს განზრახვა აქვს ტაძრის ეკკლესიას დაადგას გუმბათი, რაიც ეხლა არა აქვს.

ვუსურვებთ ყოველსავე სიკეთეს ღრმად პატივცემულს მ. დეკანოზ ხელაევს ამ სიმპატიურის შრომა-მოღვაწეობისათვის.

მოგზაური.

*** **დ. ძველი სენაკი** (სამეგრელო) აქაური ამბები. დაბა ძველი სენაკი მდებარეობს მდინარე ტეხურის მარჯვენა მხარეს, შვიდი ვერსტის მანძილზე ახალ სენაკიდან ჩრდილოეთით, საზღვრის მაღალი მთები, ეკის მთად წოდებული, რომელზედაც ეხლაც ამაყურად გადმოჰყურებს, ნანგრევები დადიანების ძველებურის ციხისა; სამხრეთით გადაჭიმული ვაკე მინდვრები, რომელიც თავდება მდინარე ტეხურთან; აღმოსავლეთით — ნაქალაქევი, ძველებური სატახტო ქალაქი, კოლხიდისა, ანი; და დასავლეთით — ახალ სენაკი მაზრის ახალი ქალაქი. მდებარეობა: ვაკე ადგილი, გაშლილი მინდვრები, რომელზედაც მკვიდრთ მოჰყავთ სიმინდი მხოლოდ და სხვა არაფერი, რის შედეგიც არის, რომ ხალხი ეკონომიურად ძრიელ დაქვეითებულია. ეხლა ვნახოთ თვით დაბა რას წარმოადგენდა, წინათ, რა შეიძინა. ეს დაბა ძველად შესანიშნავი იყო; მთელი სამაზრო დაწესებულებები: ადმინისტრატიული, სამოსამართლო, სამოქალაქო, საერო თუ სასულიერო ყველა აქ იყო მოთავსებული; მაგრამ დრონი იცვალნენ მას შემდეგ, იცვალა ჩვენი დაბაც და მაგრამ არა ისე როგორც მოსალოდნელი იყო, არა ასე გამოცვლილ იყო, მაშინ ხოსაზოგადო მოვლენა იქნებოდა და არა ღირს შესანიშნავი, მან სულ სხვანაირად მორთო თავის საქმე, მიღო და წინმსვლელობის მაგიერ უკან მსვლელობა ირჩია, იარა უკან და უკან და ერთ დროს შესანიშნავი თავის სიცოცხლით და მოძრაობით, დაბის მაგიერ დარჩა რამოდენიმე დუქნები და ისიც მიძინებული. მაგრამ მისდა საბედნიეროდ, გამოუჩნდა მეთაურები და დაარსეს სასწავლებელი სათავად-აზნაურო, რომელმაც ცოტათი გამოაფხიზლა დაბა; მეორე მეთაურმა მამა ფარნა ქავთარაძემ თავის შრომით და მეცადინეობით განაახლა მაცხოვრის ეკკლესია, ეს მშვენება მთელის დაბის, რომელიც სათნოებით გადმოსცქერის, როგორც თვით დაბას ისე მის გარშემო მდებარე სოფლებს, გაათავეს თუ არა ეს, დაბამ კვლავ მიიძინა თითქოს ყველაფერი შეიძინა და ეხლა მოსვენება-ღა ეპირვება. მაგრამ აი ეხლა გამოჩნდა ახალი მეთაური გამგე სათავად-აზნაურო სკოლისა ბ. ყიფიანი და მოინდომა სამეურნეო სკოლის გახსნა. ადგილობრივი საზოგადოება გულმხურვალედ მიეგება ამისთანა დიდ საქმეს და თანაგრძნობა გამოუცხადა. დაიწყო მან მეცადინეობა, სად და სად არ დადიოდა, ვისადვის არ აწუხებდა, სამეგ. თავად ნიკოლოზ დადიანთან რამდენჯერმე ყოფილა შემწეობის სათხოვნელად და მიუღია მისგან მხურვალე თანაგრძნობა; ბოლოს როგორც იყო დიდის მეცადინეობის შემდეგ აშენა სახლი და ეზოში გააშენა მშვენიერი ბაღი, რომელიც ყოველ წლივ, ამ ღარიბ სასწავლებელს, ოც თუმანს სძენს კარგი მოვლით. როდესაც სახლი უკვე სრულდებოდა და სასწავლებლის ნება-რთვა უნდა აეღო და დაეგვირგვინებინა კეთილი საქმე, გამოტყვრნენ ჩვეულებრივ ავიგულისად სკოლის მექონენი, აირია მონასტერი, შეიქმნა ერთი აურ-ზაური და ბოლოს საქმე მით გათავდა, რომ ყიფიანი თავიდან მოიშორეს და ქვა და გუნდა მიაყარეს!.

ამ დავიდარაბის შემდეგ დაბა ისევ თუ ძილს თავს მისცემდა ვის ეგონა, მაგრამ ასე კი მოხდა. აქაურებმა პარტიობის მაგიერ ისეთ ნარდს მიყვეს ხელი. სხედან ის დალოცვილები მთელი დღე ან ბუზებს ითვლიან ან დუშმანებს გაიძახიან; ახალგაზდები კი ჰარიარალოს გაიძახიან დუქნებში, ვ

...ცის რა და რა სისაძგლეს სჩადიან. ერთი სამკითხველო მაინც დავაარსოთ, რომ მოცლილ დროს, კითხვით და ცხოვრების მიმდინარეობის ყურის გდებით მთლად ...ან არ ჩამორჩენილიყვნენ. შენც მომიკვდე, რის სამკითხველო, ...ელს დაბაში, მხოლოდ ერთი „კვალი“ მოსდით და ორიც „ივერია“, ესა და ეს. და ისიც არ იფიქროთ ერთმანეთს წააკითხონ; გადაფურცლავს პატრონი და ჩაკილტავს ალთქმის კიდობანში და არის იქ ჩამარხული უსარგებლოდ. აი ჩვენი დაბის ბიოგრაფია, ...კითხველო, როგორ მოგწონს? წინ მსვლელობაა მაშა რა დარდუბელაა?

ახალ-გაზდა

## სამეურნეო ცნობა

[illegible] დარიგება ვაზის მოშენებაზე და ღვინის დაყენებაზე.

(შემდეგი *)

ბლის ღვინო. მოკრიფეთ შეწითლებული ბალი და არა დამწიფებული, გამოაცალეთ კურკა, ზემოდამ დაასხით ცოტა წყალი, კარგათ გაქაჯეთ ან გაწურეთ ხელით, წვენს დაუმატეთ ერთ ვედრაზედ ნახევარი ვედრა წყალი, 4 გირვანქამდისინ შაქარი, რამდენიმე დაფნის ფოთოლი და მიხაკი. ასე შეზავებული მასალა დადგით ცეცხლზედ, მანამ არ გასქელდებოდეს წვენი, შემდეგ გადმოიღეთ გააციეთ, მერე ხელმეორედ გაწურეთ და ჩაასხით სუფთად მომზადებულ ჭურჭელში; ზემოდამ დაასხით აუდუღარი წვენი, როცა დაიდუღებს მერე დაწმინდეთ კვერცხის ცილით, დაწმენადის შემდეგ გადაიღეთ სუფთად გარეცხილ ბოთლებში. ამისთანა მომზადებული ღვინო შეიძლება იხმაროთ თორმეტ დღის შემდეგ. ვისაც უნდა მოიღოს მაგარი ღვინო, ბლის წვენში არ უნდა გაურიოს წყალი, ოღონდ ორ ვედრა ბლის წვენს მიუმატეთ ორი ან სამი გირვანქა შაქარი, და ისე მოხარშეთ სიროფი, როცა სიროფი ცოტათი შეცივდება, ჩაასხით სუფთა ბოჩკაში, გაუკეთეთ კორ. და კარგათ აჭანჭყარეთ, როდესაც სიროფი სრულებით გაცივდება, მაშინ მიუმატეთ აუდუღარი წვენი, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ იწყობს დუღილს როცა დადუღდება დააცადეთ, რომ დაწმდეს შემდეგ გადიღეთ სხვა ჭურჭელში ან ბოთლებში. ამავე წესითაც შეიძლება მომზადდეს: ქლიავის, ატმის, და ვარგრის ღვინოს ამ ხილეულობის ღვინო ინახება მეორე წლამდისინ, ოღონდ წელიწადში ხუთჯერ ექვსჯერ უნდება გადაღება. ამასთანავე არა დროს არ უნდა ვინახოთ ჭურჭელი ნაკლულათ. ყველა ჩვენ სა ქართველოს მემამულეებს გაგებული და ნაცადი აქვთ, რომ ვისაც ხეირიანი სარდაფი არა აქვს, მეტადრე ცხელ ადგილებში იმათ ყოველთვის ზაფხულობით უძმარდებათ თავიანთი ღვინოები, თუ დროზედ ვერ გაასაღეს, ამისათვის ცხელ ადგილების მცხოვრებნი ყოველთვის ზაფხულობით მოკლებულნი არიან თავიანთ ვენახის ღვინოებს და სტუმარს უხვდებიან ნასყიდი ღვინით. ამისთანა საქციელს თავიდგან ასაცილებლად ცხელ ადგილებში უნდა მოამზადონ ინგილოური ღვინო, რომელსაც ინგილოები უწოდებენ სახელად „ბოზას“, აი როგორ მზადდება „ბოზა“. აიღეთ რამდენიც გნებავთ ტკბილი, ჩაასხით ქვაბში, დადგით ნელ ცეცხლზედ, აადუღეთ მინამ ტკბილი (* არ გახშირდება მაგალითად როცა ორი ჩაფი (სამი ვედრა) ტკბილიდამ დარჩება ჩაფ ნახევარი ადუღებული ტკბილი, მაშინ გადმოდგით ცეცხლიდამ, გააციეთ შემდეგ ჩაასხით სუფთა ქოცოში **) (პატარა ქვევრში) ქოცოს ზემოდამ დააფარეთ სარქველი, მერე მოაყარეთ მიწა, რომ ადუღებული ტკბილი (ბოზი) გრილათ იყვეს; თვეში ერთხელ ან ორჯელ ქვევრის მიწას რწყავენ თანაც ფეხით სტკეპნიან. ამისთანა მომზადებულ ღვინოს, ინგილოები ხმარობენ ზაფხულობით, ოღონდ აზავებენ წმინდა წყალში, ასე რომ ერთ ბოთლ ბოზას (ადუღებულ ტკბილს) უნდა მიუმატოს ნახევარი ბოთლი წმინდა წყალი, შემდეგ ხმარობენ როგორც ღვინოს, მაგრამ ღვინოსავით ბევრი არ დაილევა. კაცს მალე ათრობს.

არჩილ დარეჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. ცნობ. «ფურც». № 933.

*) დუღილის დროს ტკბილს მალ-მალე უნდა მოჰხადოთ ქაფი.

**) ქოცო უდრის ერთ, ორ, სამ ჩაფიან ჭურჭელს.

## სასამართლოს მატიანე

თავ. ი. ნ ჯორჯაძის საქმე

ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალდებულმა გარდასცა სასამართლოს განსახილველად საბრალმდებლო აქმი მეტად საყურადღებო საქმისა. თელავის მაზრის მემამულის ივანე ნიკოლოზის ძის ჯორჯაძისა, გლეხის მაჭუმუდ-ანტილაშვილისა და მარიამ თათულაშვილისა, რომელთაც ამ ქალის ქმრის მოკვლა ჰბრალდებათ.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

**პეტერბურგი.** ნაბრძანებია, რომ მემკვიდრე ხელმწიფისა და დიდის მთავრის მიხეილ ალექსანდრეს ძის დაბადება და სახელ-წოდება იდღესასწაულონ 22 ნოემბერს.

**კაპშტადტი.** „Cap. Argus“-ი შემდეგს დაწვრილებითს ამბებს იუწყება გლენკედგამ გენერალის იულის ჯარის გასვლის შესახებ: „შაბათს, საღამოთი, დიდის წვიმის დროს, კარავები აიღეს და სხვა ადგილას გადაიტანეს ბურებმა ბანაკს ყუმბარები დაუშინეს; ორი კაცი მოკვდა, ამიტომ საჭირო შეიქმნა უფრო შორს გასვლა, სადაც ყუმბარა არ მისწვდებოდა. ქალაქის მცხოვრებთაც მიანებეს ქალაქს თავი და ჯარს დაედევნენ. კვირას მთელი დღე ინგლისელებმა წვრილ-წვრილ შეტაკებას მოანდომეს ჯარის კაცნი საშინლად დაიღალნენ. კვირა ღამეს სრულიად არ დაუსვენიათ. მთელი ჯარი უკან გადგომას შეუდგა და გაიარა ვანლონვერის ვიწრო და საშიში ხეობა. სამშაბათს საღამოთი ხელ-ახლა წამოვიდა წვიმა, რომელმაც ჯარის კაცები არ მოასვენა მთელი ღამე. დილის 4 საათზედ ჯარი ლედი-სმიტიდგან გამოსულ სხვა ჯარს შეუერთდა. კვირას გენერალმა იულმა, რომელსაც თოფის ხმა მოესმა ელენდსლააგტეს მხრიდგან, არტილერია გაჰგზავნა იქითკენ. არტილერიამ ყუმბარები დაუშინა ბოერებს, რომელთაც უმპატრისკენ დაიწიეს. ამასთან ბოერებს ცოტაოდენი ზარალიც მიაყენა“.

**ბერლინი.** როგორც პარიზიდგან „Loc Anz“-ს ატყობინებენ, ბოერებს მეფეკინგი აუღიათ.

**ლონდონი.** სეფე სიტყვაში, წაკითხულს პარლამენტის კრების გადადების გამო, მოხსენებულია ვაჟკაცობა და თავგამოდება იმ რაზმებისა, რომელნიც სამხრეთ აფრიკაში ბოერების წინააღმდეგ იბრძვიან. დედოფალი თავისს გულითადს მწუხარებას აცხადებს იმდენის მამაცის აფიცრისა და ჯარის კაცის დაღუპვის გამო თავისს ვალდებულების ასრულების დროს. შემდეგ პარლამენტს მადლობას უცხადებს ომისთვის დიდის ფულის გადადების გამო და დასასრულ ამბობს, ღმერთმა ინებოს, რომ სამხრეთ აფრიკაში მშვიდობიანობა მალე დამყარებულიყოს.

**ვაშინგტონი.** მაკ-კინლეის გადასცეს პეტიცია, რომელშიაც სთხოვენ, შუამდგომლობა გასწიოს ტრანსვაალ-ინგლისს შორის.

**ბრიუსელი.** ტრანსვაალის ელჩმა ლეიდსმა განაცხადა, ვაშინგტონის ნათქვამი—ტრანსვაალი ჟენევის კონვენციის მიემხრო, მოწმობს იმას, რომ ინგლისი ტრანსვაალს მეომარ მხარედა სთვლის.

**პრაგა.** ახალი მანიფესტაციები მოხდა, ამასთან ებრაელთა სახლებში ფანჯრის შუშები დაამტვრიეს.

**ტაშკენტი.** სამხედრო ოლქის სასამართლომ, განიხილა რა საქმე პოლკოვნიკის სტაშევსკისა, რომელსაც სმორგუნერის მოკვლა ჰბრალდებოდა, დამნაშავედ იცნო იგი და მიუსაჯა ყოველისავე უფლებისა და უპირატესობის ჩამორთმევა და ენისეის გუბერნიაში ათის წლით გაგზავნა. ამას გარდა სასამართლომ დაადგინა, სტაშევსკიმ იხადოს ყოველ წელიწადს ქვრივის სმორგუნერის სასარგებლოდ 400 მანეთი, ამასთან სასამართლომ გადასწყვიტა უმაღლესად იშუამდგომლოს გადაწყვეტილ სასჯელის ნაცვლად სტაშევსკი მხოლოდ ორის წლით საპყრობილეში იქმნას დაპატიმრებული.

**ბულუვაიო.** კროკოდილკულსის ჩრდილოეთით ინგლისელები ბოერების რაზმს შეჰხვდნენ და უკან დასწიეს. ბოერებს მოუკლეს შვიდი კაცი და ერთიც ტყვედ წამოიყვანეს. ინგლისელებს არაფერი უზარალნიათ.

**ლონდონი.** ჩარლზ ბერესფორდმა გლაზგოში სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ ინგლისმა სამხრეთ-აფრიკის საქმეში ჩარევის ნება არავის არ უნდა მისცეს, თუნდაც რომ ამისთვის მთელის სახელმწიფოს მამაკაცთა ბრძოლაში გაყვანა მოუხდესო.

**ლედი-სმიტი.** 14 ოქტომბერი ბოერები 11-ს ამ თვეს, დილით ადრე, ქალაქ დენდის შეესივნენ. ქალაქის დარაჯნი, რიცხვით ოცი კაცი, დენდიდგან 2 მილის სიშორეზედ იყვნენ. დარაჯნი მახლობელს გორაკისაკენ გაექანნენ, მაგრამ ბოერებმა ყველანი ამოსწყვიტეს. ამას გარდა, ბოერებმა რამდენიმე მოქალაქეც დახვრიტეს.

**კაპშტადტი.** აქაურს გაზეთ „Times“ში დაბეჭდილია: „გენერალმა უაიტმა ლედი-სმიტიდგან დაბრუნებულ რაზმისაგან გაიგო რა, რომ მოწინააღმდეგის მრავალრიცხოვანი ჯარი გელპმაკაარიდგან ლედი სმიტისაკენ მოდისო, გაგზავნა იმის წინააღმდეგ ძლიერი რაზმი, რომელიც ქვეითა და ცხენოსანი ჯარისაგან შესდგება“.

ბოერებმა ყუმბარები დაუშინეს ინგლისის მცირე რაზმს, რომელიც ლედი-სმიტიდგან 9 მილის სიშორეზედ იდგა. ბოერები მოდდერსპრუიტის მხრისაკენ სდგანან, ხოლო ინგლისელნი ბოერების ბანაკიდგან ოთხის მილის სიშორეზე.

**კაპშტადტი** გამოქვეყნებულ იქმნა მილნერისა და შრეინერის პროკლამაცია, რომელიც უარ-ჰყოფს ორანჟეს რესპუბლიკის მთავრობის პროკლამაციას კაპის ახალშენის ნაწილის შეერთების შესახებ, მილნერი თავისს პროკლამაციაში ურჩევს ინგლისის ქვეშევრდომებს ერთგულად ემსახურნენ თავიანთ დედოფალს და ვალდებულებას.

**დარმშტადტი.** ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა და დიდი ჰერცოგი მეუღლითურთ მობრძანდნენ აქ დილით. მათმა იმპერატორებითმა უდიდებულესობათ ინახულეს რამდენიმე კაცი და რამდენიმე სავაჭრო დაწესებულება დაათვალიერეს. საღამოზედ უავგუსტოესნი გვამნი ვოლფსგარტენში დაბრუნდნენ.

**მეფკინგი.** ბურებმა წყლის მილი შესწყვიტეს, მაგრამ ქალაქში წყალი მაინც ბევრია. მეცხოვანეთა რაზმი გავიდა ჩუმად ქალაქს გარეთ, სამის მილის მანძილზედ ბურებს შეეხეჩა, დაუწყეს ერთმანეთს სროლა და შემდეგ ბურები ქალაქშივე დაბრუნდნენ.

**კაპშტადტი.** ხუთი ქვეითა ჯარის ბატალიონი, სამი ცხენოსანთა რაზმი, ერთი ბატარეია სამთო არტილერიისა და ექვსი მინდვრის არტილერიის ბატარეა გავიდა ლედი სმიტიდგან ლომბარდსკოპისაკენ. გუსართა ესკადრონმა აღმოაჩინა მტრის ყოფნა, რომელთაგანაც დაიწყო ძლიერი სროლა თოფებისა და ზარბაზნებისა. მოკლულია ორი ცხენი, ხოლო დაჭრილი ერთი ცხენოსანი. მტერს ძლიერი სიმაგრე ეჭირა დენდალსის ფერმასთან და ცხენოსანმა ჯარმა იგი იქიდგან ვერ შესძრა. რადგან მთელის დღის იერიშით არა მოხერხდა რა, ჯარი იქვე დაბანაკდა მინდვრად. გათენებისას მტრის ჯარი რიფონტენისაკენ წავიდა.

**დურბანი** ბურებმა მიიწიეს ლედი-სმიტისაკენ და ბექობზედ, ქალაქიდგან $2^1/_2$ ინგლისურ მილის მანძილზედ, ორი დიდი ზარბაზანი დადგეს. იერიშს ყოველ საათს მოელიან.

**პრეტორია.** აქ ამბავი მოვიდა, რომ მეფკინგი ცეცხლის ალით არის მოცული.

# განცხადებანი


# СПУТНИКЪ ЗДОРОВЬЯ

**общедоступный еженедѣльный журналъ**

**Въ годъ 52 №№ журнала и 12 книжекъ библіотеки «СПУТНИКЪ ЗДОРОВЬЯ».**

Подписная цѣна съ пересылкой и доставкой: въ годъ 5 руб., на ½ года 3 руб., За границу 8 р.

**ОТКРЫТА ПОДПИСКА:**

съ 1-го Августа по 1-е Января 1900 года со всѣми приложеніями—2 руб. съ пересылкой.

За всякую перемѣну адреса—50 к., можно марками

За объявленія: за строку петита въ одинъ столбецъ по 30 коп. (три столбца на страницѣ).

**ЦѢНА ОТДѢЛЬНАГО НОМЕРА 15 КОП.**

Подписка принимается въ конторѣ журнала, С.-Петербургъ, Невскій, 148.

**Въ журналѣ принимаютъ участіе:** В. А. Анзиміровъ.—И. А. Баженовъ.—Проф. Н. И. Быстровъ.—Д-ръ В. М. Бурлаковъ.—Проф. А. Я. Данилевскій.—Проф. В. П. Доброклонскій.—Проф. Г. А. Донбергъ.—Д-ръ А. О. Дукатъ.—Пр. доц. В. П. Жуковскій.—Проф. С. І. Залесскій.—Д-ръ М. Д. Ильинъ.—Д-ръ В. ф. Кіаевскій.—Проф. П. ф. Лесгафтъ.—Проф. Е. В. Павловъ.—Проф. В. В. Подвысоцкій (Кіевъ).—Проф. А. В. Пель.—Д-ръ В. И. Раммъ.—Проф. И. А. Сикорскій (Кіевъ).—Проф. И. П. Скворцовъ (Харьковъ).—Академикъ Князь И. Р. Тархановъ.—Д-ръ А. Н. Шабанова.—Д-ръ Б. Е. Шэхтеръ и др.

**Подписка на 1899 годъ продолжается.**

Всѣ вновь подписавшіеся на 1899 годъ получатъ журналъ со всѣми безплатными приложеніями съ 1-го Ноября 1898 года по 1-е Января 1900 года, т. е. 60 нумеровъ журнала и 16 ежемѣсячныхъ безплатныхъ книжекъ.

# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ [illegible]говой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ учебны[хъ] заведеніи**

## Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный,** при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій— 1-е число каждаго мѣсяца

**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго начальства**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) [тор]говыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 [з]адачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и [у а]втора: Михайловская ул., № 71.** (100—87)

# ახლად გახსნილი საწვრილმანო და საპარტიო სავაჭროდ
# „უნივერსალნი მაღაზია"

კ. გ. ყარიბოვისა (ტფილისში, ბუშკინის ქუჩაზე, ბუშკინის ბაღთან)

მუდმივ იყიდება ახალი საგალანტერიო, სათეთრეულო, სამრეწველო და სხვა მრავალგვარი საქონელი პირდაპირ ქარხნიდან გამოწერილი

**ეს არის ახლად მიღებული დიდძალი**

ქოლგები. თეთრეული. კორსეტები. წინდები. ჩულქები. ფუფაიკები. ჟერსე. პერჩატკები. კრუჟევა რუსული და გრან. შალები თბილი. შარფები. ყელსახვევი (ბოა).

შლიაპები. სარტყლები. მოსართავები. ლენტები ყოველნაირი. ბაღდადები. ხელსახოცები. ყელსახვევები. პირბადეები. აგრამანტები. გამაშები. რედიკულები. ალბომები.

სარკეები. ნესესერები. პორტმონეები. სანობათო ნივთები. საქორწილო სამკაულები. საბავშო ტანსაცმელები. ქალების კაცების საკაზმები. ფანჯრის ტულები. ქსოვილი სუფრები. საბნები ქსოვილები. ბალიშის პირები. ბამბები შალისა. ყოველგვარი ფერისა.

კალოშები.

**სამრეწველო საქონელი.**

**არტურ კრუპპის ქარხნის** ლითონეულობის ნაკეთობა.

„**ალპაკას" ნახელოვნები**, სქლად მოვერცხლებული.

**სამზარეულო ჭურჭლები**, წმინდა ნიკელიდან სასტუმროებისა და ოჯახისათვის.

**შუშები** ფანჯრებისათვის მოგემიდან.

ფასები ყველაფერზე სულ მცირეა, უკანასკნელი და გადაჭრილი. ჩვენი საქონლის უპირატესობას, სიკარგესა და გამოსადეგობაში შეიძლება ყველა პირადად დარწმუნდეს. (50—11)

მაღაზიას ყოველ კვირას სულ ახალ ახალი საქონელი მოსდის.


Дозволено цензурою Тифлисъ 19 Октября 1899 г. Тип. [illegible] [illegible] რედაქტორ-გამომცემელი ზ. ჭიჭინაძე